გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 6

2025 წლის 13 იანვარი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ს/კ 66.45.07.043), ფ/პ რობიზონ ჭოხონელიძისთვის (პ/ნ 59001032480), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 20 დეკემბერს (N19/2024355149-20) შემოსულია მოქ. რობიზონ ჭოხონელიძის (პ/ნ 59001032480) განცხადება, რომელშიც იჯარის ფორმით, კომერციული დანიშნულებით, მოთხოვნილია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.07.043 უძრავი ქონება.

აუდიტური კომპანიის მიერ 2024 წლის 20 დეკემბერს N385-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.07.043 (დაზუსტებული ფართობი - 39.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - ის, (მისამართი: ქალაქი გორი, ყიფიანის ქუჩა N16 - ის მიმდებარედ), საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 52,000.00 (ორმოცდათორმეტი ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ გორში, ყიფიანის ქუჩა N16 - ის მიმდებარედ არსებული ს/კ 66.45.07.043 უძრავი ქონების

პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, ყიფიანის ქუჩა N16 - ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.07.043 (დაზუსტებული ფართობი - 39.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით, კომერციული დანიშნულებით გადასცეს ფ/პ რობიზონ ჭოხონელიძეს (პ/ნ 59001032480).
2. ს/კ 66.45.07.043 უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 52 000.00 (ორმოცდათორმეტი ათასი) ლარით.
3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2640 (ორიათას ექვსას ორმოცი) ლარით.
4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 3 (სამი) წლის ვადით.
5. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.07.043 უძრავი ქონება გადაეცემა კომერციული დანიშნულებით.
6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.
7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**